საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შედეგები და გამოწვევები

სტუდენტი : თეონა კურტანიძე

თამარ მაისაშვილი

ანა მოლაშხია

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში

თემის ხელმძღვანელი: ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო პროექტის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად გამოყენებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: თეონა კურტანიძე

თამარ მაისაშვილი

ანა მოლაშხია

თარიღი : 03.07.2020 წ.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ემსახურება, საქართველოში საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შედეგის შეფასებას და გამოწვევების იდენტიფიცირებას. საქართველოში მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ქვეყნის ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტია და დიდი მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კეთილდღეობისათვის, არამედ სახელმწიფოს სწორი და ადეკვატური ფუნქციონირებისათვის. სახელმწიფოში მოსახლეობის ჯანმრთელობის სტანდარტების დაცვა საჭიროა არა მხოლოდ სოციალური და დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად, არამედ სწრაფი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფადაც. ჯანდაცვის სისტემები არის ქვეყნის ყველა იმ ორგანიზაციების, ინსტიტუტების და რესურსების ერთობლიობა, რომელთა მთავარი მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული იქნა თვისობრივი კვლევის მეთოდები, სიღრმისეული ინტერვიუს სახით, რისთვისაც გამოიკითხა ჯანდაცვის სექტორის 6 წარმომადგენელი.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამამ მოსახლეობის ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე დადებითად იმოქმედა. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლიდან დღემდე გატარდა რიგი ღონისძიებები, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად, აღნიშნული საკითხი კვლავ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გამოწვევად ითვლება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველადი ჯანდაცვის როლის გააქტიურება არის უმნიშვნელოვანესი, რომელიც უნდა განხორციელდეს მომხმარებლებისათვის უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდების გზით.

იმისათვის, რომ არსებული მდგომარეობა შეიცვალოს, საჭიროა სახელმწიფომ განახორციელოს რიგი ღონისძიებებისა, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გასაზრდელად, პირველადი ჯანდაცვის რგოლის გასაძლიერებლად და ტარიფიკაციის სამართლიანობის გასაუმჯობესებლად.

ძირითადი საძიებო სიტყვები : საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა,პირველადი ჯანდაცვა, ინფორმირებულობის დონე, ფინანსური ხელმისაწვდომობა

Abstract

This research aims to find out how the Universal health care program in Georgia is performed and to identify its challenges. Nowadays, one of the main challenges in Georgia is to take care of its own citizens in the medical sphere, not only to improve the health care conditions but, to change the way of the whole country to be capable of functioning better in all fields.

The development of health care programs is not the only indicator for the improved conditions of the social and demographic problems, but also the up-growth of the country's social status in the world's economic map.

Healthcare systems are the summary of all the organizations, institutes and resources, whose main aim is to improve the health of the population.

In this thesis, the in-depth interviewing technique of the qualitative research methods is used. 6 representatives from the health care sector are interviewed with this method.

The results of this research showed that the universal health care program provides a great financial help for the citizens of Georgia. Despite the changes and the improvements, the awareness about the universal healthcare program is the main challenge among the Georgian population (since 2013 till the present day).

To change the present situation, the government should make a line of arrangements. It should enhance the awareness of the population about healthcare programs, the primary health care system should be stronger and the tariffing must be done fairly.

The main searchable words and phrases: the universal health care programs, primary healthcare, the awareness in healthcare programs, the financial availability.